

შპს ფრენდლი ფაინენს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ფრენდლი ფაინენს ჯორჯია
 სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	4		112,188
საპროცენტო ხარჯები	5		(855,657)
საერთო მოგება			(743,470)
სხვა შემოსავალი	6	866	23,469,968
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(36,368)	(217,995)
სხვა ხარჯები	8	(45,804)	(523,059)
ფინანსური დანახარჯები	9	(168)	(8,687)
რეზერვები	10		(647,768)
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი		17,248	447,607
მოგება დაბეგვრამდე	11	(64,225)	21,776,597
მოგების გადასახადის ხარჯი	12		145,993
მიმდინარე წლის მოგება		(64,225)	21,922,590
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		113,043	
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		190,529	(21,732,061)
დივიდენდი		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		239,347	190,529

შპს ფრენდლი ფაინენს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019	2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	21	119,921	169,747	448,065
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	580,043	829,526	2,771,896
		699,964	999,273	3,219,961
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	3,750	14,102	78,838
		3,750	14,102	78,838
სულ აქტივები		703,714	1,013,375	3,298,798
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	18	214,366	393,031	808,963
გადასახდელი პროცენტი	15	-	-	2,952,821
მიმდინარე საგადასახდო ვალდებულება	16	-	168,203	133,611
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	19	-	11,612	12,695
		214,366	572,846	3,908,090
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხი არარეზიდენტისგან	17	-	-	20,872,769
		-	-	20,872,769
სულ ვალდებულებები		214,366	572,846	24,780,859
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		250,000	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		239,347	190,529	(21,732,061)
		489,347	440,529	(21,482,061)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		703,714	1,013,375	3,298,798

შპს ფრენდლი ფაინენს ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019
მიმდინარე წლის მოგება კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით: არაფულადი ფინანსური დანახარჯები	52,263	21,776,597
გადახდილი მოგების გადასახადი		34,592
ძირითადი საშუალებების ცვეთა საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთვნებული ფულადი ნაკადები: ცვლილებების საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	10,352	64,736
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	(39,136)	2,088,363
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(67,202)	(415,933)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	(6,025)	(1082)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(49,748)	23,547,273
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა		(23,825,591)
გაცემული დივიდენდები		-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(23,825,591)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(49,748)	
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	169,669	448,065
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	119,921	169,747
(ა) ფულადი სახსრებით გადახდილი ფინანსური დანახარჯები	168	8,687
(ბ) ფულადი სახსრებით გადახდილი მოგების გადასახადი		34,592
(გ) მოიცავს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს	(17,248)	447,607.31

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 2016 წელს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, განსაზღვრული მეწარმეთა კანონის მიხედვით. 2016 წლიდან კომპანია ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე და ცდილობდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა კონკურენტებს შორის.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეებზე მოკლევადიანი სესხების გაცემას და კომპანიის შემოსავალი წარმოადგენდა გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი არის პეკინის 28, თბილისი 0101, საქართველო.

კომპანია სრულად ეკუთვნის 4 ფაინანსის ჰოლდინს. მთავარი დამფინანსებელი და კრედიტორი არის სწორედ ეს ჯგუფი. კომპანიის საქმიანობა სრულად დაფინანსებულია ჯგუფის წევრი კომპანიების მიერ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), ეს ვალუტა არის კომპანიის ფუნქციონალური და ასევე წარმომადგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსების დახმარებით, რომლებიც 2018 წლისა და 2017 წლის ბოლოს არის შემდეგი:

	<u>31-დეკ-2020</u>	<u>31-დეკ-2019</u>
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს პრინციპების დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ : საპროცენტო შემოსავალი, რომელიც აღიარდება დარიცხვის მეთოდით სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, ასევე გადავადების საკომისიო და პირგასამტეხლო, რომლებიც აღიარდება საკასო მეთოდით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2016 და 2017 წლებში კომპანია ახდებდა სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ძირად კაპიტალიზებას, ხოლო 2018 წელს შეიცვალა ეს მიდგომა და აღნიშნული დანახარჯები საპროცენტო ხარჯის სახით აღიარებულია პერიოდის ხარჯად და ნაჩვენებია მოგება-ზარალის უწყისში.

მოგების გადასახადი

ვინაიდან კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ამასთანავე მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემა, საანგარიშო პერიოდში არსებული ძალაში მყოფი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ის ვალდებულია გაცემულ ძირზე დაარიცხოს, დაადეკლარიროს და

გადახადოს მოგების გადასახადი, რომელსაც გაცემული ძირების შემოსვლისას ჩაითვლის მიღებული თანხის პროპორციულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დაგროვილი ცვეთის ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენ ღირებულებაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა - 20 პროცენტი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კორექტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომპანია:

- აპირებს გაყიდოს დაუყოვნებლივ ან უახლოეს ვადებში;
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საფუძველზე;
- თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრავს როგორც გასაყიდად გამიზნული;
- შესაძლებელია ვერ აღიდგინოს არსებითად ყველა მისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტის გაუარესება.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არ არის კლასიფიცირებული სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ყველა კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. დივიდენდის გადახდის შეზღუდვა

კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა დივიდენდების განაწილებაზე.

4. შემოსავალი

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	-	
გადავადებისგან მიღებული შემოსავალი	-	59,248
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	-	52,939
	-	112,188

2020 წელს კომპანიის ტრადიციული საოპერაციო საქმიანობიდან შემოსავალი აღარ მიუღია, ამის მიზეზი იყო ის რომ 2019 წელს კომპანიამ სრულად გაყიდა პორტფელი და გადავიდა მიღევად რეჟიმში.

5. საპროცენტო ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები		(855,657)
		(2,879,609)

6. სხვა შემოსავალი

	2020	2019
ჩამოწერილი აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	-	-
გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	866	290,859
შემოსავალი იჯარიდან	-	3,148
საპროცენტო შემოსავალი ბანკებიდან	-	517
სხვა შემოსავალი	2	9,863
არარეზიდენტის მიერ სესხის პატივებით მიღებული შემოსავალი		23,165,580
	868	23,469,968

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომითი ანაზღაურება	(16,146)	(69,287)
იჯარა	(11,041)	(15,582)
აიტი დანახარჯები	(1,780)	(128,448)
კომუნალური გადასახადები	(59)	(384)
სარეკლამო ხარჯები	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(7,342)	(4,292)
	(36,368)	(1,409,926)

2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა შრომითი ანაზღაურება, ვინაიდან 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიაში, რასაც მოჰყვა თანამშრომელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების შემდეგ კომპანიამ იქირავა უფრო პატარა ფართი შესაბამისად, კომუნალური, საიჯარო თუ სხვა ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებაც სწორედ აქედანაა გამოწვეული.

8. სხვა ხარჯები

	2020	2019
სესხების დამუშავების ხარჯი	-	-
აპლიკაციების დამუშავების ხარჯი	-	-
ცვეთა	(10,352)	(52,968)
საოფისე ხარჯი	(90)	(1,185)
საკონსულტაციო მომსახურება	(35,069)	(7,449)
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ხარჯები	(293)	(461,457)
	(45,804)	(1,043,294)

9. ფინანსური დანახარჯები

	2020	2019
საბანკო საკომისიო დანახარჯები	(168)	(8,687)
	(168)	(8,687)

10. რეზერვები

	2020	2019
ჩამოწერილი აქტივები	-	(605)
გაცემულ სესხებზე შექმნილი რეზერვები	-	648,372
	-	647,768

გამომდინარე იქიდან რომ კომპანიამ 2019 წელს სრულად გაასხვისა პორტფელი, საექვო და უიმედო ვალების რეზერვების შექმნა/გადაანგარიშება 2020 წელს საჭირო აღარ იყო.

11. მოგება დაბეგვრამდე

	2020	2019
შემოსავალი	-	112,188
საპროცენტო ხარჯები	-	(855,657)
საერთო მოგება	-	(743,470)
სხვა შემოსავალი	866	23,469,968
ადმინისტრაციული ხარჯები	(36,368)	(217,995)
სხვა ხარჯები	(45,804)	(523,059)
ფინანსური დანახარჯები	(168)	(8,687)
რეზერვები	-	(647,768)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17,248	447,607
მოგება დაბეგვრამდე	(64,225)	21,732,061

12. მოგების გადასახადის ხარჯი

	2020	2019
მიმდინარე გადასახადი	-	145,993
	-	145,993

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები კლიენტებისაგან	-	-
გაცემული სესხი დაკავშირებული მხარის მიმართ	-	-
მოთხოვნები დებიტორებისგან	47,322	46,552
ავანსად გადახდილი თანხები	532,721	782,974
მისაღები პროცენტი დაკავშირებული მხარისგან	-	-
	580,043	829,526

2020 წელს მოთხოვნები კლიენტებისგან აღარ არსებობს ვინაიდან მიმდინარე წელიწად კომპანია აღარ ფლობდა სასესხო პორტფელს.

14. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები და მოწყობილობა	სულ
1 იანვარი 2020	219,631	219,631
შემოსვლა	-	-
გასვლა	(4,005)	(4,005)
31 დეკემბერი 2020	215,626	215,626
1 იანვარი 2020	(205,642)	(205,642)
წლიური ცვეთა	(10,240)	(10,240)
გაუფასურება	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	4,005	4,005
31 დეკემბერი 2020	(211,876)	(211,876)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	3,750	3,750

15. გადასახდელი პროცენტი

	2020	2019
გადასახდელი პროცენტი	-	-
	-	-

2019 წლის აპრილში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა სესხის ძირისა და დარიცხული პროცენტის პატიება, რაც შესაბამისად კომპანიამ აღიარა როგორც სხვა შემოსავალი და ჩართო სრული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

16. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება

	2020	2019
უკუდაბეგვრის დღე	-	56,448
საშემოსავლო გადასახადი	-	56,293
სხვა გადასახადები	-	55,461
	-	168,203

17. სესხი

	2020	2019
სესხი არარეზიდენტისგან	-	-
	-	-

2019 წლის აპრილში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა სესხის ძირისა და დარიცხული პროცენტის პატიება, რაც შესაბამისად კომპანიამ აღიარა როგორც სხვა შემოსავალი და ჩართო სრული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

18. სავაჭრო ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლებთან	20,347	192,068
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	6,612	4,662
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	187,407	196,301
სულ	214,366	393,031

19. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი

	2020
ვალდებულება 2020 წლის 1 იანვრისათვის	11,612
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	16,146
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	27,758
ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-

20. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შენატანი შეადგენდა 250,000 ლარს. 2016 წლიდან მოყოლებული 2020 წლის ჩათვლით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 250000 ლარს.

21. ფულადი სახსრები

	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	-	-
ფულადი სახსრები ბანკში	119,921	169,669
დეპოზიტი	-	78
სულ	<u>119,921</u>	<u>169,747</u>

22. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020	2019
მოგება სავალუტე გადაფასებიდან	1,614,777	5,784,438
ზარალი სავალუტე გადაფასებიდან	<u>(1,597,529)</u>	<u>(5,336,831)</u>
	<u>17,248</u>	<u>447,607</u>

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2020 მეკავშირე საწარმო	2019 მეკავშირე საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
სესხი არარეზიდენტისგან	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	6,612	4,662

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა კომპანიის დირექტორმა და გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.

21. ფულადი სახსრები

	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	-	-
ფულადი სახსრები ბანკში	119,921	169,669
დეპოზიტი	-	78
სულ	<u>119,921</u>	<u>169,747</u>

22. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020	2019
მოგება სავალუტე გადაფასებიდან	1,614,777	5,784,438
ზარალი სავალუტე გადაფასებიდან	<u>(1,597,529)</u>	<u>(5,336,831)</u>
	<u>17,248</u>	<u>447,607</u>

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2020 მეკავშირე საწარმო	2019 მეკავშირე საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
სესხი არარეზიდენტისგან	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	6,612	4,662

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა კომპანიის დირექტორმა და გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.

ბ. ვიზი

